

მითის როლი ჯეიმზ ჯოისის წიგნში „ხელოვანის პორტრეტი  
ახალგაზრდობისას“

მარიამი ჯაოშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისურ ფილოლოგიაში  
ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ანგლისტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ჩხეიძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაყენებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამი ჯაოშვილი, 15.06.23.

## აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს მითის როლის კვლევა ცნობილი ირლანდელი მწერლის, ჯეიმზ ჯოისის, რომანში „ხელოვანის პორტრეტი ახალგაზრდობისას.“ კვლევა ინტერესდება თუ როგორ და რატომ იყენებს ჯეიმზ ჯოისი მითს ამ ტექსტში, განსაკუთრებით კი - დედალუსის მითს, რომელიც ფუნდამენტური ფუნქციის მქონე მითია რომანში და რა არის მითის როლი და მიზანი, პროტაგონისტის, სტივენ დედალუსის, ხელოვანად ჩამოყალიბების პროცესში. ნაშრომში განმარტებულია თუ რას წარმოადგენს მითოსი და რა კავშირშია იგი მოდერნისტულ ლიტერატურასთან. გაანალიზებულია ოვიდიუსის დედალუსისა და იკარუსის მითი. ნაშრომში წარმოდგენილია ჯეიმზ ჯოისის მითოსური მოდელი, ძირითადად, ტომას ელიოტის შემდეგ ესეიზე დაყრდნობით: „ულისე, მითი და წესრიგი.“ ნაშრომში ასევე, გამოყენებულია მისი მეორე ესეი - „ტრადიცია და პიროვნული ნიჭიერება.“ ეს უკანასკნელი მოიცავს ახალი კრიტიკის თეორიის ფუნდამენტურ საკითხებს. გაანალიზებულია სტივენ დედალუსის დიქოტომია მითოსურ კონტექსტში და ბოლოს გამოყოფილია დედალუსის ხაზი სტივენის შემოქმედებით განვითარებაში.

წინამდებარე ნაშრომი, ძირითადად, ეყრდნობა კანადელი ლიტერატურათმცოდნის, ნორტოუპ ფრაის მითოსურ კრიტიკას (არქექტიპულ კრიტიკას), რომელიც „კრიტიკის ანატომიის“ მე-3 ესეის წარმოადგენს. გარდა ამისა, ნაშრომში გამოყენებულია ახალი კრიტიკა, სტრუქტურალიზმი და კომპარატივისტიკა.

კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ჯოისი იყენებს მითოლოგიურ მოტივებს, განსაკუთრებით კი დედალუსისა და იკარუსის მითს რათა გააძლიეროს რომანის მნიშვნელობა და სტრუქტურა, გახადოს იგი უფრო კოსმოპოლიტური, დაუკავშიროს ირლანდია ძველ სამყაროს, მითის საშუალებით და რაც მთავარია, განსაზღვროს სტივენ დედალუსის ხელოვანად ჩამოყალიბების გზა. კვლევის საფუძველზე, ასევე, დადგინდა, რომ ფრაის მითოსური მეთოდის მიხედვით, „პორტრეტი“ გაზაფხულის კომედიასა და, შესაბამისად, დაბადების მითს მიეკუთვნება. არქექტიპული ანალიზის საფუძველზე კი

გამოიკვეთა, რომ ბავშვობისას და მეძავთან ცოდვის ჩადენისა და მონანიების შემდეგ, ანუ, როდესაც სტივენი რელიგიურ ცხოვრებას უბრუნდება, ნაწარმოებში დომინირებს აპოკალიპტური წარმოდგენა და უმანკოების ანალოგია, ხოლო მეძავთან ცოდვის ჩადენისას, ტექსტში ვხვდებით დემონურ წარმოდგენასა და გამოცდილების ანალოგიას.

საკვანძო სიტყვები: ჯოისი, ელიოტი, ფრაი, დედალუსი, იკარუსი, მითოსური მეთოდი, არქეტაპული კრიტიკა, ახალი კრიტიკა, ახლო კითხვის მეთოდი, სტრუქტურალიზმი, კომპარატივისტიკა.

## Abstract

The research topic of the master's thesis is the study of the role of myth in the famous Irish writer James Joyce's novel "A Portrait of the Artist as a Young Man." The research is interested in how and why James Joyce uses myth in the text, especially the Daedalus myth, which is a myth with a fundamental function in the novel, and what is the role and purpose of myth in the development of the protagonist, Stephen Daedalus, as an artist. The thesis explains what mythos is and what is its connection with modernist literature. Ovid's Myth of Daedalus and Icarus is analyzed. The thesis presents the mythical model of James Joyce, mainly based on the following essay by T.S. Eliot: "Ulysses, Order, and Myth." His second essay – "Tradition and the Individual Talent," is also used in the thesis. The latter includes the fundamental issues of the New Criticism Theory. The dichotomy of Stephen Daedalus is analyzed in the mythic context, and finally, the line of Daedalus in Stephen's creative development is distinguished.

The present paper is mainly based on the Myth Criticism (Archetypal Criticism) by Northrop Frye, which is the 3rd essay of "Anatomy of Criticism." In addition, the thesis uses New Criticism, structuralism and comparative literature.

As a result of the study, it was revealed that Joyce uses mythological motifs, especially the Myth of Daedalus and Icarus, to enhance the meaning and structure of the novel, to make it more cosmopolitan, to link Ireland to the ancient world through myth, and most importantly, to define the way Stephen Dedalus developed as an artist. Based on the study, it was also determined that according to Frye's method, "Portrait" is a spring comedy and therefore belongs to the myth of birth. Based on the Archetypal Criticism, it was outlined that during childhood and after sinning with the prostitute and repenting, that is, when Stephen returns to religious life, the text is dominated by the Apocalyptic Imagery and the Analogy of Innocence and in sinning with the harlot, we find the Demonic Imagery and the Analogy of Experience in the text.

**Key Words:** Joyce, Eliot, Frye, Daedalus, Icarus, the mythical method, archetypal criticism, new criticism, close reading, structuralism, comparative literature.